ზოგადსაგანმანათლებო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 75

2017 წ. "23" 05

ქ. თბილისი

სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1.სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგულ სკოლა ლიცეუმს (საიდენტიფიკაციო კოდი: 238113439) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით.

2. სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგულ სკოლა ლიცეუმს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 120-ით.

3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 23 მაისის №17 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
თამარ ფხალაძე